KAMMARKOLLEGIET

Auktorisationsprov för översättare den 5 oktober 2022
Från georgiska till svenska

Samhällstext

ერთიანი ეროვნული გამოცდები - ზოგადი ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდები

2005 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების ძველი, საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა. მისაღები გამოცდების ახალი მოდელის დანერგვა დღემდე ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება ქვეყანაში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დანერგილი მოდელი შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ, მერიტოკრატულ პრინციპებზე დამყარებული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევას უმაღლესი სასწავლებლებისათვის.
ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს:

- სტანდარტიზებულ შერჩევას;
- უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას;
- სახელმწიფო გრანტის გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე;
- ფართო არჩევნის შესაძლებლობას.

2020 წლიდან აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით აბარებენ. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამედიცინო მიმართულებისა და ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებითი/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისა, ჩარიცხვის მიზნით გამოცდები ტარდება სამ სავალდებულო საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა; მათემატიკა/ისტორია. მესამე გამოცდა დამოკიდებულია პროგრამებზე. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დარგთაშორისი მიმართულებების არჩევისას ისტორიას ან მათემატიკას აბარებენ. უმაღლესმა სასწავლებლებმა სურვილისამებრ განსაზღვრეს, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დამატებითი საგამოცდო საგნები შემდეგი ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება. ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე კი სავალდებულო ოთხი გამოცდაა: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. ბიოლოგია; 4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს).

2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო პროგრამები და დავალებათა ტიპები უცვლელი დარჩა. რამდენიმე საგანში მხოლოდ გამოცდის ხანგრძლივობა და მაქსიმალური ქულა შემცირდა. ეს ცვლილება შეეხო მათემატიკის, ქიმიისა და ფიზიკის ტესტებს.

გამოცდები ქვეყანაში არსებული კოვიდრეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა. 85 ათასამდე გამოსაცდელისათვის უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო შეიქმნა.

Källa: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

Observera att texten kan ha redigerats och att personuppgifter kan ha anonymiserats.